# 1 ნოემბერი

ყველაწმიდას დიდდღესასწაული ს თ.

## 2012 ხუთშაბათი

გამოც 7,2-4.9-14; ფს 23; 1იო 3,1-3; მთ 5,1-12

## დიდია თქვენი საზღაური ცაში მთ 5,12

ძვირფასო ძმანო და დანო, რომელნიც ხარობთ უფლის მიერ მომზადებული ჯილდოთი, გვასწავლეთ სპეტაკი, უანგარო სიყვარული, გვასწავლეთ ვაკეთებდეთ ყველაფერს მხოლოდ იესოსთვის: მიტევება, ავადმყოფთა მონახულება, რომელსაც მადლობის თქმაც არ შეუძლიათ, დედის დახმარება, მაშინაც როცა შენი დის რიგია, და რომელსაც ალბათ დაავიწყდა... მწამს, იესო, შენი სიტყვის, სამოთხის, საუკუნო სიცოცხლის

# 2 ნოემბერი

მოხსენიება ყველა მორწმუნე
მიცვალებულისა [ს] ი

2012 პარასკევი

იობ 19,1.23-27; ფს 26; რომ 5,5-11; იო 6,37-40
(ან): ეს 25,6.7-9; ფს 24; რომ 8,14-23; მთ 25,31-46
(ან): სიბრ 3,1-9; ფს 41; გამოც 21,1-5.6-7; მთ 5,1-12

## მე აღვადგენ მას უკანასკნელ დღეს იო 6,40

ჩემი სიღატაკის მიუხედავად, ანდა სწორედ მის გამოც, ყოველი სიღარიბე იზიდავს ღმრთის მზერას, რომელიც არის მამა, და რომელიც მე გავიცანი ამ ცხოვრებაში, უფლის სიძლიერე, რომელიც აღადგენს, წამოაყენებს და უბრუნებს სიცოცხლეს. არ არის რთული მრწამდეს, რომ იესო მე ამამაღლებს ბოლო დღეს. აქედან მომდინარეობს დიდი სიხარული და სასოება, და მუდმივი სწრაფვა იესოსთან ზიარებისაკენ.

# 3 ნოემბერი

რიგ. ყ. XXX კვირა [ს] ი
საქართველოს ყველა გარდაცვლილ
სასულიერო პირთა მოხსენიების დღე (მ)
წმ. მარტინ პორესელი, ბერი †1639

2012 შაბათი

ფლპ 1,18-26; ფს 41; ლკ 14,1.7-11

## ჩემთვის სიცოცხლე ქრისტეა და სიკვდილი — მონაგები ფლპ 1,21

მე ჯერ კიდევ არ მიმიღწევია ამგვარი სიმწიფისათვის ან უფრო სწორედ თავსიფულებისათვის; ჯერ კიდევ ვგრძნობ ამაქვეყნის მიმზიდველობას... მაგრამ, მოციქულის ეს სიტყვები ძალზე მაღალი როდია, მხოლოდ წმიდა პავლეს სიდიდის წმიდანებს რომ შესწევთ მათი აღსრულების ძალა. ვიცნობ მრავალ ადამიანს, რომელიც ამ მიწაზე ცხოვრობენ და ტკბებიან მისი სიხარულით და მშვენიერებით, მაგრამ უყურებენ იესოსთან საბოლოო შეხვედრას, როგორც კიდევ უფრო დიდ სიხარულს.
გმადლობ იესო ამ ძმებისათვის... რომლებიც ფეხებით მიწაზე დგანან, გულით კი მთლიანად შენში არიან!

4 ნოემბერი

რიგ. ჟ. XXXI კვირადღე, «ბ» [III] მწ

2012 კვირა

მსჯ. 6,2-6; შალ 17; ებრ. 7,23-28; მარ 12,28-34

# უფალი, ღმერთი ჩვენი, ერთი უფალია მარ 12,29

გმადლობ უფალო იესო, რადგან შენში „უფალი ღმერთი... ის ერთადერთი უფალია“, რომლის შეცნობა ისრაელის ერმა დაიწყო და რომელიც მოვიდა ჩვენს შორის. ახლა კი ვიცით ვინ ყოფილა ღმერთი: მამა, რომელსაც ვუყვარვართ და ამიტომ სურს რომ ყოველთვის მასთან ვიყოთ; ამისათვის გაიღო უდიდესი მსხვერპლი, რომელიცა ხარ შენ, იესო, მისი სიცოცხლე!

# 5 ნოემბერი

რიგ. ქ. XXXI კვირა [III] მღ

2012 ორშაბათი

ფლპ 2,1-4; ფს 130; ლკ 14,12-14

## არაფერი გააკეთოთ ჯიბრით ან პატივმოყვარეობით ფლპ 2,3

რაც არ უნდა გავაკეთო პატივმოყვარეობითა თუ ჯიბრით არავის არ მოუტანს რაიმე კარგს, არც მე და არც სხვას. მხოლოდ სიყვარულით აღსრულებულს მოაქვს სიყვარული, მშვიდობა, სიხარული და ერთიანობა, რადგან მოაქვს უფლის კურთხევა... და არა ეშმაკის თათი!

# 6 ႬႭႤႫႡႤႰႨ

რიგ. ჟ. XXXI კვირა [III] მღ

## 2012 ႱႠႫႸႠႡႠႧႨ

ფლპ 2,5-11; ფს 21; ლკ 14,15-24

## ნეტარია, ვინც ჭამს პურს ღვთის სასუფეველში ლკ 14,15

იესო შენი ცხოვრების მიძღვნით ყველას გაუხსენი გზა ამ ნეტარებისაკენ, შესთავაზე ,ბილეთი' მამის საუკუნო სიყვარულის სუფრასთან დასაჯდომად: გმადლობ! მე ახლავე, სიხარულით მოვდივარ: ყოველივე დანარჩენი აღარაა ცხოვრება არც ჩემთვის და არც ჩემი ძმებისათვის!

# 7 ႬႭႤႫႡႤႰႨ

რიგ. ქ. XXXI კვირა [III] მღ

# 2012 ႭႧႾႸႠႡႠႧႨ

ფლპ 2,12-18; ფს 26; ლკ 14,25-33

## ყველაფერი გააკეთეთ უდრტვინველად და უყოყმანოდ ფლპ 2,14

წმიდა პავლე და მასთან ერთად ყველა წმიდანი გვირჩევს მორჩილებისა და კეთილმოსურნეობის გზას. ისინი, იმ ღრმა რწმენაში, ნიჭად რომ მიიღეს, ხედავენ, რომ ღმერთი ჩვენთანაა და ჩვენთვისაა მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე, ყოველივე ან მისი ნებითაა, ან მისი ნებართვით. ჩვენ, ყოველი მოვლენის შვილობრივად მიღებით, სხვათაგან მოყენებული ტანჯვაშიც კი, ვაძლევთ მას შესაძლებლობას გამოვლინდეს, თუ ვინაა სინამდვილეში: მამა ყოვლისამპყრობელი!

8 ნოემბერი
რიგ. ჟ. XXXI კვირა [III] მღ
საქართველოს კათოლიკე ეკლესიის
ყველა წმიდანი

2012 ხუთშაბათი

ფლპ 3,3-8; ფს 104; ლკ15,1-10

მამა შიო ბათმანიშვილისა და
მამა ლაზარ გოზალიშვილის მოხსენიება

# ცოდვილებს ღებულობს და მათთან ჭამსო ლკ 15,2

ფარისევლები იძახიან ამას იესოს წინააღმდეგ, დაბრკოლებულნი მისი ქცევით. მე კი ვამბობ: „გმადლობ, იესო!“. მე, რომელიც ვაღიარებ, რომ ძალზე შორსა ვარ იმისაგან, როგრიც ვუნდივარ მამას, რას ვიზამდი იესოს მხოლოდ ისინი, რომ მიეღო, ვინც მისი ღირსია? გმადლობ იესო, რომ მოხვედი ჩემს საძებრად და მამასთან დასაბრუნებლად.

# 9 ნოემბერი

ლატერანის ბაზილიკის კურთხევა (დ)

[ს] თ

## 2012 პარასკევი

ეზ 47,1-2.8-9.12 ან:1 კორ 3,9გ-11.16-17; ფს 45; ინ 2,13-22

## შენი სახლის შური შემჭამს მე ინ 2,17

**ღმერთის ჭეშმარიტი სამყოფელი ეკლესიაა, მორწმუნეების ერთობა. ეკლესიისთვის იესო მაცხოვარმა, მამის მისიის ერთგულმა, მთლიანად მიუძღვნა თავი: დღესაც ვჭვრეტთ მის ჯვარცმას, როდესაც მისი ფერდიდან სისხლი და წყა-ლი იღვრება. გმადლობ იესო შენი ეკლესიისთვის: შენ მისთვის თავშესაფარი ხარ, ის კი — შენთვის!**

10 ნოემბერი

2012

რიგ. ქ. XXXI კვირა [III] მღ

წმ. ლეონ დიდი, პაპი და მოძ. †461 (მ)
(28.X) წმ. მღვ. მოწ. ნეოფიტე ურბნელი

შაბათი

ფლპ 4,10-19; ფს 111; ლკ 16,9-15

# არც ერთ მსახურს არ შეუძლია ორ ბატონს ემსახუროს ლკ 16,13

მამაო ყველაფერს შენგან ვღებულობ: სიცოცხლეს, სიყვარულს, მშვიდობას! და ყველაფერი ის, რაც ვარ, მსურს შენ მოგიძღვნა! მიიღე ჩემი წვალება, ჩემი მსახურება მოყვასისადმი... ჩემი ცხოვრება. გმადლობ იმ უდიდესი სიხარულისათვის, რომ შემიძლია მიყვარდე ყოველ წამს შენ ძესთან იესოსთან ერთად, რომელიცაა შენი ყველაზე დიდი ძღვენი!

# 11 ნოემბერი

რიგ. ჟ. XXXII კვირადღე, «ბ»[IV]მწ

2012 კვირა

3მეფ 17,10-16; ფს 145; ებრ. 9,24-28; მარ 12,38-44

## მოვიდა ერთი ღარიბი, ქვრივი დედა-კაცი და ჩადო ორი ლეპტა მარ 12,42

ვიცით, რომ ის ორი ლეპტა იყო ყველაფერი, რაც იმ ქალს გააჩნდა. მან იცოდა, რომ ჰყავს ღმერთი, რომელსაც უყვარს და რომლისთვისაც შეეძლო მიენდო მთელი თავისი არსე-ბობა. მე, რომელსაც არ გამაჩნია მხოლოდ ორი ლეპტა, ვიცი კი რომ მყავს მამა, რომელიც ღირსია ჩემი ნდობის?

# 12 ნოემბერი

რიგ. ჟ. XXXII კვირა [IV] წ

წმ. იოსაფატი, ეპ. და წამ., †1623 (მ)

2012 ოთხშაბათი

ტიტ 1,1-9; ფს 23; ლკ 17,1-6

## გაგვიმრავლე რწმენა! ლკ 17,5

მოწაფეების თხოვნაზე იესოს პასუხიდან ჩანს, რომ მათ არა თუ მცირე, არამედ საერთოდ არა ჰქონიათ რწმენა. მართლაც, რწმენა, ანუ უფლის სასოება, ნდობა, ან გაქვს, ან — არა. თუკი ვერ მივნდობივარ უფალს რთულ მდგომარეობებში, ეს ნიშნავს, რომ სინამდვილეში უფრო მარტივ გარემოებებშიც მისი კი არა საკუთარი თავის იმედი მაქვს მხოლოდ.

იესო, დაბადე ჩემში რწმენა!

# 13 ႬႭႤႫႡႤႰႨ

რიგ. ჟ. XXXII კვირა [IV] მწ

წმ. 100.000 წამებული († 1227წ.)

## 2012 ႱႠႫႸႠႡႠႧႨ

ტიტ 2,1-8.11-14; ფს 36; ლკ 17,7-10

## უბრალო მონები ვართ ლკ 17,10

უფალო, იესო, თავმდაბლობა ის ნიშანია, რომელიც ყველაზე მეტად უხდება შენ მოწაფეს! ნუთუ უდიდესი პატივი არ არის გემსახურო შენ? კეთილ საქმეში კეთილი ნაყოფის მიღება განა შენი მადლი არ არის? გმადლობ იესო, რომ შენი გულმოწყალებით მეც შემიძლია გემსახურო შენ, ჩემს მამას, ჩემს სიყვარულს, ჩემს მხსნელს!

# 14 ႬႭႤႫႡႤႰႨ

რიგ. ჟ. XXXII კვირა [IV] მღ

2012 ႭႧႾႸႠႡႠႧႨ

ტიტ 3,1-7; ფს 22; ლკ 17,11-19

## შეგვიწყალე, იესო მოძღვარო ლკ 17,13

ის ათი კეთროვანი მიმართავს იესოს თხოვნით, რომლითაც ღმერთს მიმართავენ: იმ დროს კეთროვნის განკურნება უდრიდა მკვდრის სიცოცხლისაკენ მობრუნებას, უწმიდურის ცოდვისაგან განწმედას. დღეს, იესო მე მოვდივარ შენთან რწმენით, უპოვარი და გლახაკი, ნამდვილი ცოდვილი! მრწამს შენი სიყვარულის და შენი ღვთიური მადლის: ვიცი , რომ მომანიჭებ საუკუნო სიცოცხლეს, მამასთან ზიარებას; მეც შევძლებ სიყვარულს, მიტევებას, მსახურებას, ქებას! გმადლობ, იესო!

# 15 ნოემბერი

რიგ. ჟ. XXXII კვირა [IV] მწ

წმ. ალბერტ დიდი, ეპ. და მოძ. †1280

2012 ხუთშაბათი

ფლმ 7-20; ფს 145; ლკ 17,20-25

## თვითონ თქვენშია ღვთის სასუფეველი ლკ 17,21

იმ ამპარტავანმა და ანგარებიანმა ფარისევლებმა ვერ გაიგეს, რომ შენ, იესო, მათთვის და მთელი ერისათვის ღმერთის მადლი, მისი სასუფეველი იყავი. როცა შენი სიტყვით ვცხოვრობ, შენ მღებულობ, მამას შეუძლია მიმიღოს, მომცეს ნამდვილი სიცოცხლე, შემიყვანოს სიხარულისა და მშვიდობის სასუფეველში! ჭეშმარიტად შენი სასუფეველი უკვე აქაა, იესო. მადლობა!

# 16 ნოემბერი

რიგ. ჟ. XXXII კვირა [IV] მწ
სნეულთა მფარველი ღმრთისმშობელი; წმ. მარგარიტა შოტლანდიელი †1093; წმ. გერტრუდა, ქალწ. †1302.

2012 პარასკევი

2იო I.3-9; ფს 118; ლკ 17,26-37

ვარგავის ეკლესიის დღესასწაული.

## იარეთ სიყვარულში 2იო I,6

ეს ის სიტყვაა, რომელიც დღეს ჩემს გონებაში დარჩება. მოკლეა, მაგრამ საკმარისია ყოველი ქმედების, ფიქრის, ამ დღის გადაწყვეტილებათა ორიენტირებისათვის. წმიდა ავგუსტინე ამბობდა: „გიყვარდეს და აკეთე, რაც გსურს“. თუ რა არის ჭეშმარიტი სიყვარული, ვისწავლი იესოსგან; დღეს შევეცდები ვიარო შენთან ერთად, იესო!

# 17 ნოემბერი

რიგ. ჟ. XXXII კვირა [IV] თ
წმ. ელისაბედ უნგრელი, მონ. †1231, (მ)
(4.XI) წმ. იოანე, სტეფანე და ესაია

2012 შაბათი

ვიო 5-8; ფს 111; ლკ 18,1-8

## როცა ძე კაცისა მოვა, ნეტავ თუ ჰპოვებს ამქვეყნად რწმენას? ლკ 18,8

შენ მომინახულებ მე მთელი დღის განმავლობაში, იესო: ერთგული ხარ! მეუბნები, რომ შენი მოსვლით არ ელოდები არაფერს განსაკუთრებულს: მხოლოდ გულს, რომელიც გენდობა შენ! იესო შენ ხარ ის, რომელსაც უანგაროდ ვუყვარხარ! მოდი უფალო იესო!

# 18 ნოემბერი

რიგ. ქ. XXXIII კვირადღე, «ბ»[I]მწ

# 2012 კვირა

დან 12,1-3; ფსალ 15; ებრ. 10,11-14.18; მარ 13,24-32

## ცა და მიწა გადავლენ, ჩემი სიტყვები კი არ გადავლენ მარ 13,31

გმადლობ, უფალო შენი ასეთი დაპირებისა და დარწმუნებისათვის. ნებისმიერი ადამიანის მოთხოვნა არ რჩება ცარიელი, რადგან შენ დაამარცხე სიკვდილი მთელი კაცობრიობისათვის. გმადლობ, რომ ამ სამყაროს მოვლენებში შენი სიტყვები მაძლევენ სიმტკიცეს, სიმშვიდეს და სიხარულს. დღეს ვიგალობოთ: ალელუია!

# 19 ნოემბერი

რიგ. ჟ. XXXIII კვირა [I] მწ

# 2012 ოთხშაბათი

გამოცხ 1,1-4; 2,1-5; ფს 1; ლკ 18,35-43

## რა გინდა, რომ გაგიკეთო? ლკ 18,41

იესო მოდის მის შესახვედრად, ვინც სიყვარულით და ნდობით ეძებს მას. მას ძალუძს დააკმაყოფილოს ჩვენი არსებითი და ღრმა საჭიროებები; ყოველთვის მზად არის დაგვეხმაროს. გმადლობ, უფალო იესო!

# 20 ნოემბერი

რიგ. ჟ. XXXIII კვირა [I] მწ

2012 სამშაბათი

გამოცხ. 3,1-6.14-22; ფს 14; ლკ 19,1-10

## დღეს შენს სახლში უნდა დავრჩე ლკ 19,5

**იესო, დღეს ჩემთან რჩები! მრწამს რომ ჩემთან ხარ! ეს სიხარული დამეხმარება, თავადაც ვიქცე სიყვარულის ძღვენად.**

# 21 Ⴌ Ⴍ Ⴄ Ⴋ Ⴁ Ⴄ Ⴐ Ⴈ

რიგ. ჟ. XXXIII კვირა [I] თ

ნეტ. ქალწ. მარიამის ტაძრად მიყვანა (მ)

## 2012 Ⴍ Ⴇ Ⴞ Ⴘ Ⴀ Ⴁ Ⴀ Ⴇ Ⴈ

გამოცხ 4,1-11; ფს 150; ლკ 19,11-28 (ან. ზაქ 2,14-17; ფს 44; მთ 12,46-50)

**ვიდრე დავბრუნდებოდე, ივაჭრეთო** ლკ 19,13

ყველაფერი, რაც ვარ და ის, რაც გამაჩნია შენი მადლია, უფალო! დამეხმარე, რომ შენი სასუფევლის აშენების ხელსაწყო ვიყო, შენი დაბრუნების მოლოდინში. დღეს კი სიცხიანს ლოგინში რა შემიძლია გავაკეთო შენთვის? მოგიძღვნი ჩემს სიმარტოვეს და სხეულის ტკივილს: მიათვალე ისინი შენს წმიდა ვნებას, რომლითაც დაგვიხსენი ჩვენ!

# 22 ႬႭႤႫႡႤႰႨ

რიგ. ქ. XXXIII კვირა [I] თ

წმ. ცეცილია, ქალწ. და წამ., †~250 (მ)

# 2012 ႭႧႾႸႠႡႠႧႨ

გამოცხ. 5,1-10; ფს 149; ლკ 19,41-44

## ქალაქის დანახვაზე ატირდა მის გამო ლკ 19,41

დღესაც, უფალო იესო იტანჯები შენი მრავალი შვილისათვის, რომელიც არ გღებულობს შენ და არ ტკბება იმ ჭეშმარიტი მშვიდობით, რომელიც შენ გსურს, რომ მიანიჭო მათ. გიძღვნი ჩემს დღევანდელ ცრემლებს და ჩემს მოვალეობას, რათა აღვასრულო მამის ნება: მცირედი, მაგრამ შენს ხელში ის იქცევა შენკენ გადადგმულ ნაბიჯად იმისთვის, ვისაც მოელის შენი გული.

23 ნოემბერი

რიგ. ჟ. XXXIII კვირა [ს] წ

(10.XI) წმ. გიორგი წამ., (დდ); წმ. კლემენტ I, პაპი და წამ. †101; წმ. კოლუმბან, აბ. †615;
(10.XI) წმ. დიდმოწ. კონსტანტი-კახი

2012 პარასკევი

გამოცხ 10,8-11; ფს 118; ლკ19,45-48

უდეში «პირდაპირების» სამლოცველოს დღესასწ.

## ასწავლიდა ყოველდღე ტაძარში ლკ 19,47

მნიშვნელოვან, გაუსხვისებელ მოვალეობად მიგაჩნდა, ის რაც მამამ მოგანდო; მისი ერთგული იყავი, მაშინაც, როცა დევნის და სიძულვილის მიზეზი გახდა ის შენთვის. დღეს, იესო, შენ კვლავ ასწავლი შენს ეკლესიაში: მსურს ვისარგებლო ამ ძვირფასი მსახურებით; შენ მაჩვენებ მამას, განანათლებ და ძვირფასს ხდი ჩემს ცხოვრებას!

24 ႬႭႤႫႡႤႰႨ

რიგ. ჟ. XXXIII კვირა [I] წ

წმმ. ანდრია დუნგლაკი ხუც. და მეგ., ვიეტნამელი წამებულნი, XVI-XVIIIსს. (მ)

2012 ႸႠႡႠႧႨ

გამოცხ. 11,4-12; ფს 143; ლკ 20,27-40

## ღმერთი მკვდრებისა კი არ არის, არამედ ცოცხლებისა ლკ 20,38

სასაცილოა, როცა ქრისტიანი უარყოფს აღდგომას (სამწუხაროდ ესეც ხდება)! როგორ შეიძლება ვიყოთ აღმდგარი იესოს მორწმუნეები, და ამავე დროს ვთქვათ... „იქიდან ვინ დაბრუნებულაო?!“. კიდევ უფრო სასაცილო იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო აღდგომა და ღმერთს აერჩია სამი, არარაობაში გამქრალი მკვდრის სახელი: „ღმერთი აბრაამისა, ისაakისა და იაკობისა!“.

დიდება შენ, ცოცხალთა ღმერთო!

# 25 ნოემბერი

რიგ. ჟამის XXXIV კვირადღე
უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი
სამყაროს მეფისა, «ბ» [I] თ
კვირა

2012

დან 7,13-14; ფს 92; გამოცხ.I,5-8; იო 18,33-37

## ჩემი მეფობა არ არის ამ სოფლისა იო 18,36

**შენ, იესო, ხარ მეფე მამის გულისამებრ, მეფე რომელიც ემსახურება, რათა ყოველ ადამიანს ჰქონდეს მშვიდობა, თანაზიარება და სიწყნარე. მსურს შენგან ვისწავლო, იესო, ჩემო მეფევ!**



# 26 ნოემბერი

რიგ. ჟ. XXXIV კვირა [II] მღ

2012 ოთხშაბათი

გამოცხ. 14,1-3.4-5; ფს 23; ლკ 21,1-4

## ეს ისინი არიან, რომლებიც არ წაბილწულან დედაკაცებთან გამოცხ 14,4

შენ იესო, მამის სიყვარულის განმცხადებელო, ჭეშმარიტება ხარ! ჩემი ბაგეებიდან გამოსული სიტყვები ჭეშმარიტება იქნება, მაშინ როცა შენგან მოედინება, შენ რომელიცა ხარ გულმოწყალე, სიკეთე, მშვიდობა და მშვიდობა... რაოდენი სიცრუეა ჯერაც ჩემს ბაგეებზე! განმწმიდე, უფალო იესო!

# 27 ႬႭႤႫႡႤႰႨ

რიგ. ჟ. XXXIV კვირა [II] მწ

2012 ႱႠႫႸႠႡႠႧႨ

გამოცხ. 14,14-19; ფს 95; ლკ 21,5-11

## გაფრთხილდით, რომ არ მოტყუვდეთ

ლკ 21,8

მე ასეთი სუსტი, გონებაგაფანტული, როგორ შევძლებ ამას უფალო იესო? დავიცავ შენ სიტყვას, ჭეშმარიტ ნათელს ჩემი ნაბიჯებისა; გავერთიანდები ლოცვაში, შენს ეკლესიასთან, რომელსაც დაპირდი, რომ მასთან და მისთვის იქნებოდი წუთისოფლის აღსასრულამდე. მშვიდად დაგელოდები, ჩემო უფალო!

# 28 ႬႭႤႫႡႤႰႨ

რიგ. ჟ. XXXIV კვირა [II] მწ

2012 ႭႧႾႸႠႡႠႧႨ

გამოცხ. 15,1-4; ფს 97; ლკ 21,12-19

## გამძლეობით გადაირჩენთ თქვენს სიცოცხლეს ლკ 21,19

არ დავიღალოთ, გულგატეხილობას არ მივეცეთ! ყოველი სიყვარული ვერ იქნებოდა ნამდვილი სიყვარული, ერთგულების გამოცდისთვის რომ არ გაეძლო. გვსურს ნდობით ვუცქეროთ იესოს, მაშინ როცა განსაცდელი დიდი და რთულია: ვნახავთ ხსნას, რომელსაც ის უკვე გვიმზადებს და გაოცებულნი დავრჩებით მისი სიდიადის წინაშე.

# 29 ნოემბერი

რიგ. ჟ. XXXIV კვირა [II] მწ

# 2012 ხუთშაბათი

გამოცხ 18,1-2.21-23;19,1-3.9; ფს 99; ლკ 21,20-28

## ციური ძალები შეირყევიან ლკ 21,26

მადლობას გიძღვნით მამაო მზისა და ვარსკვლავების ნათლისათვის, სამყაროს ჩუმი ჰარმონიისათვის, ირგვლივ რომ გვარტყავს: შენი სიყვარულის მადლია. მაგრამ, კიდევ უფრო მეტი მადლობა ახალი ცისა და მიწისათვის, რომელსაც შენ ამზადებ ჩვენთვის, შენი შვილებისათვის: ცა და მიწა, რომელიც არ გადავა, და სადაც შენი სიყვარული იმეფებს.

# 30 ნოემბერი

რიგ. ყ. XXXIV კვირა [ს] წ

წმ. ანდრია მოციქული (დ)

(17.XI) წმმ. მიქაელ გობრონი და 133 მხედარი

2012 პარასკევი

რომ 10,9-18; ფს 18; მთ 4,18-22

ახალციხის საკრებულოს დღესასწაული.

## ყოველი, ვინც უფლის სახელს მოუხმობს, გადარჩება რომ 10,13

მრავალჯერ მოვუხმე შენს სახელს იესო, ცხოვრების სხვადასხვა მდგომარეობაში: ყოველთვის ვპოვე მშვიდობა და შეწევნა. მე მჯერა, რომ თუ რწმენით მოგიხმობ ბოლო დღესაც დამიხსნი მარადიული ხსნით.

დღეს მოციქული ანდრიას დღესასწაულია, განსაკუთრებით მადლობას გიხდი მართლმადიდებელი ძმებისათვის, რომლებსაც ჩვენთან ერთად სწამთ და ესავენ შენს წმიდა სახელს.